საქართველო

საგარეო საქმეთა
სამინისტრო

№ 1/1723-14
26 12 2008

საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია
საქართველოს პრეზიდენტის საპარლამენტო
მდივნის სამსახური

შიდასახელმწიფოებრივი პროცედურების დასასრულებლად გიგზავნით „გერმანიის მიერ საქართველოში 2008 წლის აგვისტოს მოვლენების შედეგად უსახლკაროდ დარჩენილ პირთათვის დაახლოებით 300 ქვის (ბლოკის) სახლის აშენების შესახებ შეთანხმების" ქართული და გერმანულენოვან ტექსტებს შესაბამისი უწყებების დასკვნებითურთ.

ამასთან გაცნობებთ, რომ მიზანშეწონილად მიგვაჩნია ზემოაღნიშნული შეთანხმების საქართველოს პარლამენტში წარდგენის შემთხვევაში, მომხსენებლად დაინიშნოს საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს წარმომადგენელი.

დანართი: ფურცელი.

ნინო კალანდაძე
მინისტრის მოადგილე

1/1921
26 12 8
25

0118 თბილისი, შო ზუტაძის I №4; ტელ: (995 32) 284648; ფაქსი: (995 32) 284678 www.mfa.gov.ge

გერმანიის ფედერაციული
რესპუბლიკის საელჩო
თბილისი

თარგმანი

VN №. 257/08
საქმის ნომერი (გთხოვთ პასუხის შემთხვევაში მიუთითოთ): Pol 320. 10/8 SB 3

ვერბალური ნოტა

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საელჩო მიესალმება საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს და აქვს პატივი, დანართის სახით გადაუგზავნოს მას გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის დროებითი რწმუნებულის, ბატონი დოქტ. ქრისტიან პერნჰორსტის მიერ ხელმოწერილი ნოტა და საპასუხო ნოტის ნიმუში ქ. გორში 300-მდე ბლოკის სახლის მშენებლობასთან დაკავშირებით სამთავრობო შეთანხმების გაფორმების მიზნით.

საელჩო მადლობელი იქნება, თუ ნოტების გაცვლა შეძლებისდაგვარად სწრაფად მოხდება.

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საელჩო სარგებლობს შემთხვევით და კიდევ ერთხელ გამოხატავს თავის ღრმა პატივისცემას საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მიმართ.

თბილისი, 2008 წლის 18 დეკემბერი

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს
თბილისი

საქართველო

საგარეო საქმეთა
სამინისტრო

№ 544/14
26.12.2014

დასკვნა
„გერმანიის მიერ საქართველოში 2008 წლის აგვისტოს მოვლენების შედეგად უსახლკაროდ დარჩენილ პირთათვის დაახლოებით 300 ქვის (ბლოკის) სახლის აშენების შესახებ“ შეთანხმების პროექტზე

საგარეო საქმეთა სამინისტრომ განიხილა „გერმანიის მიერ საქართველოში 2008 წლის აგვისტოს მოვლენების შედეგად უსახლკაროდ დარჩენილ პირთათვის დაახლოებით 300 ქვის (ბლოკის) სახლის აშენების შესახებ“ შეთანხმების პროექტი და ქვეყნის საგარეო პოლიტიკური და ეკონომიკური პრიორიტეტების გათვალისწინებით, მიზანშეწონილად მიაჩნია, წარმოდგენილი შეთანხმების დადება.

ნინო კალანდაძე
მინისტრის მოადგილე

0118 თბილისი, შიო ჩიტაძის l. №4; ტელ: (995 32) 284648; ფაქსი; (995 32) 284678 www. mfa.gov.ge

ქ.ბ. ლონდარიძ
-ეკ
251208

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო
MINISTRY OF INTERNAL AFFAIRS OF GEORGIA

№ 2/10-7721 23 „ 12 2008 წ.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს
საერთაშორისო სამართლებრივი დეპარტამენტის
დირექტორს **ირაკლი გივიაშვილს**

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში განხილული იქნა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საელჩოს მიერ შემუშავებული შეთანხმების პროექტი „საქართველოში 2008 წლის აგვისტოს მოვლენების შედეგად უსახლკაროდ დარჩენილ პირთათვის დაახლოებით 300 ქვის (ბლოკის) სახლის აშენების" შესახებ.

აღნიშნულზე გაცნობებთ, რომ პროექტის მიმართ შენიშვნები არ გაგვაჩნია.

მინისტრის პირველი მოადგილე **ეკატერინე ზღულაძე**

25000/2-14
24 12 8

0114, თბილისი, გ. გულუას ქ. 10, ტელ.: (+995 32) 411068, ტელ./ფაქსი: (+995 32) 411017, (+995 32) 272934, ელ. ფოსტა: info@pol.ge
10, GENERAL GIA GULUA STR., TBILISI 0114, GEORGIA, TEL.: (+995 32) 411068, Tel./Fax: (+995 32) 411017, (+995 32) 272934, e-mail: info@pol.ge

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
MINISTRY OF JUSTICE OF GEORGIA

№ 01/23/03-14438 24. 12 2008 წ.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო

საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ განიხილა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ ამა წლის 19 დეკემბრის №2/21302-14 წერილით წარმოდგენილი გერმანიის მხარის მიერ შემუშავებული შეთანხმების პროექტი "საქართველოში 2008 წლის აგვისტოს მოვლენების შედეგად უსახლკაროდ დარჩენილ პირთათვის დაახლოებით 300 ქვის (ბლოკის) სახლის აშენების შესახებ" და გაცნობებთ:

პროექტის მე-8 პუნქტთან მიმართებით გასათვალისწინებელია, რომ საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა არ ითვალისწინებს აეროპორტის და ნავსადგურის გადასახადს.

პროექტის მე-10 პუნქტთან მიმართებით გასათვალისწინებელია, რომ საქართველოს კანონმდებლობა არ იცნობს მთავრობის საკუთრებას. შესაბამისად, სახლები საკუთრებაში გადაეცემა საქართველოს სახელმწიფოს.

შალვა კვინიხიძე
საერთაშორისო საჯარო სამართლის
დეპარტამენტის უფროსი

საქართველო, ქ. თბილისი, 0146, რუსთაველის გამზირი №30, ტელ.: 75-82-76, ფაქსი: 75-82-76, ელ.ფოსტა: Intlawdep@justice.gov.ge
30 Rustaveli ave., 0146, Tbilisi, Georgia, Tel.: 75-82-76, Fax: 75-82-76, E-MAIL: Intlawdep@justice.gov.ge

რეგიონული მართვის საკითხებში
სახელმწიფო მინისტრის აპარატი

STAFF TO STATE MINISTER FOR REGIONAL ISSUES

№ 2/1313

24" 12 "2008 წ.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს

სახელმწიფო მინისტრის აპარატმა განიხილა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის დროებითი რწმუნებულის მიერ წარმოდგენილი შეთანხმების პროექტი „საქართველოში 2008 წ. აგვისტოს მოვლენების შედეგად უსახლკაროდ დარჩენილ პირთათვის 300 სახლის აშენების" შესახებ.

გაცნობებთ, რომ შეთანხმების პროექტში წარმოდგენილი პუნქტების მიმართ შენიშვნები არ გაგვაჩნია.

ჯამბულ ბაკურაძე

სახელმწიფო მინისტრის პირველი მოადგილე

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო
№ 25125/2
25.12.8

საქართველოს
ფინანსთა სამინისტრო

MINISTRY OF FINANCE
OF GEORGIA

№ 07-02/1312С 26. 12 2008

იქნების №

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს
საერთაშორისო სამართლებრივი დეპარტამენტის
დირექტორს ბატონ ირაკლი გოგიაშვილს

ბატონო ირაკლი,

ფინანსთა სამინისტრომ განიხილა საგარეო საქმეთა სამინისტროს 2008 წლის 19 დეკემბრის №2/21308-14 წერილით წარმოდგენილი გერმანიის მხარის მიერ შემუშავებული შეთანხმების პროექტი ნოტების გაცვლის გზით "საქართველოში 2008 წლის აგვისტოს მოვლენების შედეგად უსახლკაროდ დარჩენილ პირთათვის დაახლოებით 300 ჭვის (ბლოკის) სახლის აშენების" შესახებ და გაცნობებთ, რომ ფინანსთა სამინისტროს ზემოაღნიშნულ შეთანხმების პროექტთან დაკავშირებით ფინანსური ხასიათის შენიშვნა არ გააჩნია.

ამასთან, დამატებით გაცნობებთ, რომ ვინაიდან წარმოდგენილი პროექტით განსაზღვრულია საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობისაგან განსხვავებული საგადასახადო ნორმები, აღნიშნული შეთანხმება საჭიროებს საქართველოს პარლამენტის მიერ რატიფიცირებას.

პატივისცემით,

დიმიტრი გეინდაძე
მინისტრის მოადგილე

257208

საქართველოს ლტოლვილთა
და განსახლების სამინისტრო

MINISTRY OF REFUGEES AND
ACCOMMODATION OF GEORGIA

0177, თბილისი, თამარაშვილის ქუჩა 15
ტელ: (995 32) 31-15-85, ფაქსი: (995 32) 31-15-96

15',Tamarashvili str..0177.Tbilisi,Georgia
Tel:(995 32) 31-15-85,Fax:(995 32) 31-15-96
www.mra.gov.ge

24.12.2008 № 07/01-17/61.08

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს
საერთაშორისო სამართლებრივი დეპარტამენტის
დირექტორს ბატონ ირაკლი გივიაშვილს

ბატონო ირაკლი,

საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრომ თქვენი, მიმდინარე წლის 19 დეკემბრის №2/21303-14, წერილის საფუძველზე განიხილა გერმანიის მხარის მიერ შემუშავებული შეთანხმების პროექტი ნოტების გაცვლის გზით, „საქართველოში 2008 წლის აგვისტოს მოვლენების შედეგად უსახლკაროდ დარჩენილ პირთათვის დაახლოებით 300 ქვის (ბლოკის) სახლის აშენების" შესახებ, რომლის მიმართაც, ჩვენი სამინისტროს კომპეტენციიდან გამომდინარე, შენიშვნები არ გაგვაჩნია.

პატივისცემით,

მინისტრის მოადგილე ბექა თორია

25058/2-14
24 12 8